

# თვითდახმარების სტრატეგიები

ნიკოლერების მოძარების  
შემცირების ან შეწყვეტისთვის

გვამკვლევი

# თვითდახმარების სტრატეგიები

ნივთიერების მოხმარების  
შემცირების ან შეწყვეტისთვის

გვამკვლევი

Published by the World Health Organization in 2010

Under the title - Self-help strategies for cutting down or stopping substance use: a guide (2010)

© World Health Organization 2010

The World Health Organization has granted translation and publication rights for an edition in Georgian to the Addiction Research Center "Alternative Georgia" which is solely responsible for the quality and faithfulness of the Georgian translation. In the event of any inconsistency between the English and the Georgian edition, the original English edition shall be the binding and authentic edition.

თვითდახმარების სტრატეგიების ნივთიერების მოხმარების შემცირების ან შეწყვეტისთვის: გზამკვლევი (2010)

© დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი „ალტერნატივა ჯორჯია“ (2017)

ISBN 978-9941-0-9654-9

მთარგმნელი: ნინო ბარძიმიშვილი

რედაქტორი: ნინო ალდგომელაშვილი



Addictology Development in Georgia

This report is published in the frame of the project "Development of Human Resources, Evidence Base and Quality Standards in Addictology in Georgia", funded by EC, within the TEMPUS funding mechanism 544219-TEMPUS-1-2013-1CZ-TEMPUS-SMHS (2013 – 4566 / 001 – 001).

This project has been funded with support from the European Commission. This publication reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

წინამდებარე გამოცემა დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ TEMPUS-ის დაფინანსების მექანიზმის გამოყენებით, პროექტის „ადამიანური რესურსების, მტკიცებულებათა პაზისა და ხარისხის სტანდარტების განვითარება საქართველოს აღიეროლოგიაში“ ფარგლებში 544219-TEMPUS-1-2013-1CZ-TEMPUS-SMHS (2013 – 4566 / 001 – 001).

ევროკომისიის მიერ ამ გამოცემის მხარდაჭერა არ ნიშნავს მისი შინაარსის გაზიარებას, რომელიც მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს ასახავს. აქედან გამომდინარე, ევროკომისია პასუხს არ აგებს ამ პუბლიკაციის შინაარსზე.

# სარჩევი

მადლობას ვუხდით .....	4
<b>1.</b> შესავალი .....	6
<b>2.</b> როგორ უნდა მიხვდეთ, რომ რისკი გექმნებათ? .....	6
<b>3.</b> რაში მდგომარეობს ნივთიერების მოხმარების პრობლემა? .....	7
<b>4.</b> დავიწყოთ.....	7
<b>5.</b> დახმარების მიღება.....	8
<b>6.</b> საჭიროა თუ არა, რამე ვიღონო ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებით? .....	9
<b>7.</b> როგორია ნივთიერების მოხმარების თქვენი ბალანსი? .....	11
<b>8.</b> გაწუხებთ თუ არა ნივთიერებას რომ მოიხმაროთ? .....	13
<b>9.</b> თქვენ მიერ მოხმარებული ნივთიერების რაოდენობის გაზომვა ...	15
<b>10.</b> რამდენია „ზედმეტად ბევრი“? .....	17
<b>11.</b> გადაწყვეტილების მიღება.....	18
<b>12.</b> მიზნის არჩევა.....	19
<b>13.</b> მოხმარების პატერნის შეცვლა.....	21
<b>14.</b> კონტრაქტი საკუთარ თავთან.....	22
<b>15.</b> წინსვლა.....	23
<b>16.</b> მაღალი რისკის შემცველი სიტუაციები .....	24
<b>17.</b> მიზნების დასახვა: როგორ დავანებოთ თავი .....	26
<b>18.</b> სამიზნების მონიშვნა: როგორ შევამციროთ ნივთიერების მოხმარება.....	27
<b>19.</b> როგორ გავუმკლავდეთ ლტოლვას .....	28
<b>20.</b> სასარგებლო რჩევები.....	30
<b>21.</b> როგორ ვმართოთ მაღალი რისკის სიტუაციები.....	32
<b>22.</b> როგორ ვთქვათ „არა“ .....	35
<b>23.</b> არ გადაუხვიოთ მიზნებისკენ დასახულ გეზს.....	37
<b>24.</b> როცა საქმე ცუდად მიდის... .....	38
<b>25.</b> ნივთიერების მოხმარების ალტერნატივები .....	38

## დანართი

<b>A.</b> რჩევები მხარდამჭერებისთვის .....	40
<b>B.</b> ბროშურაში გამოყენებული ბალანსის ცხრილები და სქემები .....	41

# მადლობას კუსდით

ეს არის გადამოწმებული ვერსია ორიგინალი დოკუმენტისა, რომელიც შეიმუშავეს რეიჩელ ჰუმენიუკმა, სიუ ჰენრი-ედვარდსმა და რობერტ ალიმ (რეიჩელ ჰუმენიუკი, სიუ ჰენრი-ედვარდსი და რობერტ ალი. თვითდახმარების სტრატეგიები ნივთიერების მოხმარების შემცირების ან შეწყვეტისთვის: გზამკვლევი (სამუშაო ვერსია 1.1 საცელე ტესტირებისთვის). ჟენევა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2003). ორიგინალი ეფუძნება დოკუმენტს „ალკოჰოლის მომხმარებელთა გზამკვლევი სმის შემცირების ან შეწყვეტისთვის“, რომლის ავტორები არიან: დევიდ რიდერი, სამონ ლენტონი, ილზე ბლაინოლტი, კეროლ ჰოპკინსი და ალექს კუკი. © დასავლეთ ავსტრალიის ალკოჰოლის და ნარკოტიკების განყოფილება, 1995.

ეს დოკუმენტი შემუშავდა WHO ASSIST (ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერების მოხმარების სკრინინგ ტესტი) ფარგლებში, რომელსაც კოორდინაცია გაუწია, დააფინანსა და განახორციელა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ.

WHO ASSIST-ის პროექტის III ფაზის ჯგუფის წევრები:

რობერტ ალი (Robert Ali) (ავსტრალია)

თომას ბეიბორი (Thomas Babor) (აშშ)

მაიკლ ფარელი (Michael Farrell) (გაერთიანებული სამეფო)

მარია ლუსია ფორმიგონი (Maria Lucia Formigoni) (ბრაზილია)

რეიჩელ ჰუმენიუკი (Rachel Humeniuk) (ავსტრალია)

ჯარუნ ჯიტივუტიკარნი (Jaroon Jittiutikarn) (ტაილანდი)

როზელი ბოერნგენ დე ლასერდას (Roseli Borngen Lacerda) (ბრაზილია)

ვალტერ ლინგი (Walter Ling) (აშშ)

ჯონ მარსდენი (John Marsden) (გაერთიანებული სამეფო)

ხოსე მარტინეს-რაგა (Jose Martines Raga) (ესპანეთი)

ბონი მაკრი (Bonnie McRee) (აშშ)

მარისტელა მონტეირო (Maristela Monteiro) (PAHO/WHO)

დევიდ ნიუქომბი (David Newcomb) (ავსტრალია)

ჰემრაჯ პალი (Hemraj Pal) (ინდოეთი)

ვლადიმირ პოზნიაკი (Vladimir Poznyak) (WHO)

სარა სამონ (Sara Simon) (აშშ)

ჯენის ვენდეტი (Janice Vendetti) (აშშ)

ორიგინალი დოკუმენტის მომზადებას უხელმძღვანელეს ვლადიმირ პოზნიაკმა და მარისტელა მონტეირომ (WHO-ს ფსიქიური ჯანმრთელობის და ნივთიერების ავადმოხმარების დეპარტამენტი) და რეიჩელ ჰუმენიუკმა და რობერტ ალიმ (სამხრეთ ავსტრალიის ნარკოტიკების და ალკოჰოლის სამსახური, WHO-ს თანამშრომლობის

ცენტრი ნარკოტიკების და ალკოჰოლის პრობლემების კვლევებში (ავსტრალია)). ორიგინალი გადაამოწმეს რობერტ ალიმ და სონალი მინამ (Sonali Meena) (WHO-ს თანამშრომლობის ცენტრი ნარკოტიკების და ალკოჰოლის პრობლემების კვლევებში (ავსტრალია)). დოკუმენტის საბოლოო დამუშავებას ხელმძღვანელობდა ვლადიმირ პოზნიაკი (WHO) რეიჩელ ჰუმენიუკის, სონალი მინას და ლიდია სეგურას (Lidia Segura) (ესპანეთი) დახმარებით. სამუშაო ვერსიაში კომენტარებით კონტრიბუციისთვის მადლობას ვუხდით ანა ზადეის (Anna Dzadey) (განა), მარისტელა მონტეიროს (PAHO/WHO), ისი ვრომანს (Isy Vromans) (WHO) და დიპაკ იადავს (Deepak Yadav) (ინდოეთი).

რეფერირებისთვის: Humeniuk RE, Henry-Edwards S, Ali RL and Meena S (2010). Self-help strategies for cutting down or stopping substance use: a guide. Geneva, World Health Organization.

მოცემული დოკუმენტის დამატებებია:

Humeniuk RE, Henry-Edwards S, Ali RL and Monteiro M (2010). The Alcohol, Smoking and Substance Involvement Screening Test (ASSIST): manual for use in primary care („ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერების მოხმარების სკრინინგ ტესტი: სახელმძღვანელო პირველად ჯანდაცვაში გამოყენებისთვის“). Geneva, World Health Organization.

Humeniuk RE, Henry-Edwards S, Ali RL and Monteiro M (2010). The ASSIST-linked brief intervention for hazardous and harmful substance use: manual for use in primary care („ASSIST-თან ბმული ხანმოკლე ინტერვენცია ნივთიერების სახიფათო და საზიანო მოხმარებისას: სახელმძღვანელო პირველად ჯანდაცვაში გამოყენებისთვის“). Geneva, World Health Organization.

# 1 შესავალი

ეს გზამავლები  
შედგენილია 18 წლების  
უფროსი ასაკის  
ადამიანებისთვის,  
რომელიც  
ნივთიერების  
მოხსენებასთან  
დაკავშირებული  
პროგლემების გაჩინის  
ზომიერი რისკის ქვეშ  
იყოფილიან, მაგრამ არ  
გააჩნიათ ნივთიერების  
მოხსენებასთან  
დაკავშირებული  
მძიმე პროგლემები ან  
დამოკიდებულება.

თუ მიგაჩნიათ, რომ ნივთიერების მოხმარება გიქმნით ჯან-  
მრთელობის, სოციალური, სამართლებრივი, ფიქოლოგიური,  
სამსახურებრივი თუ ოჯახური პრობლემების რისკს, მაშინ ეს  
გზამკვლევი დაგეხმარებათ, შეაფასოთ ნივთიერების მოხმარე-  
ბის თქვენი ქცევა და მოგაწვდით რამდენიმე რჩევას, როგორ  
შეცვალოთ ის.



თუ თქვენ გაქვთ მძიმე აღკვეთის სიმპტომები ან გრძნობთ დისკომფორტს ალკოჰოლის, თამბაქოს ან სხვა ნარკოტიკების მოხმარების შეწყვეტისას, მაშინ დახმარებისთვის უნდა მიმართოთ თქვენს ექიმს, ჯანდაცვის მუშავს ან ნარკოტიკების და ალკოჰოლის სამსახურის რომელიმე სპეციალისტს.

# 2 როგორ უნდა მიხვდეთ, რომ რისკი გექმნებათ?


6

თუ თქვენ ხელთ გაქვთ ამ დოკუმენტის ეგზემპლარი,  
ეს ალბათ იმის გამოა,  
რომ თქვენმა ექიმმა  
ან ჯანდაცვის მუშავმა  
დაგისვათ რამდენიმე  
შეკითხვა თქვენ მიერ  
ნივთიერების მოხმარების  
შესახებ და მიჩნია, რომ  
თქვენ შესაძლოა ერთი ან  
რამდენიმე ნივთიერებისგან  
ზიანის მიღების რისკის  
ეპიზოდებით.

პროგლემების გაჩინის  
რისკი შეიძლება  
სცვალასხვა პიროვნებას  
სცვალასხვა ჰერიდეს  
და დამოკიდებული  
იყოს გარემოზე,  
მოხსენებული  
ნივთიერების  
რაოდენობაზე,  
მოხსენებას წესის,  
ასაპზე, გენდერზე  
და ა.შ.

სხვადასხვა ნივთიერების მოხმარებას სხვადასხვაგვარი ზიანი  
და რისკი ახლავს. მაგალითად, არსებობს რისკი, რომ გაგიჩნდეთ  
პრობლემები:

- თუ თქვენ მოიხმართ თამბაქოს პროდუქტს – განსაკუთრებით, მოწევის გზით;
- თუ იღებთ დიდი რაოდენობით ალკოჰოლურ სასმელს ან სვამთ იმდენს, რომ ინტოქსიკაციის მდგომარეობამდე მიდიხართ;
- თუ მოიხმართ ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა კანაფი, კოკაინი, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები (მათ შორის, ექსტაზი და მეთამფეტამინი), ინჰალანტები, დანიშნულების გარეშე მიღებული სედატივები ან საძილე აბები, ჰალუცინოგენები ან ოპიოიდები.



## 3 რაში მდგომარეობს ნივთიერების მოხმარების პრობლემა?

ნივთიერების მოხმარების პრობლემა შეიძლება წარმოიშვას მწვავე ინტოქსიკიის, რეგულარული მოხმარების ან დამოკიდებულების შედეგად, აგრეთვე, ნივთიერების მოხმარების ხერხიდან გამომდინარე.

შესაძლოა, პრობლემები ყველა ჩამოთვლილი მიზეზით შეიქმნას.

იმის მიუხედავად, თუ რა ნივთიერებაა ორგანიზმში შეყვანილი, ნივთიერების ინექციის გზით მოხმარებამ შეიძლება ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გააჩინოს. ნებისმიერი ნარკოტიკის ინექციურად მოხმარება მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია სისხლით გადამდები დაავადებების შესაძენად, როგორიცაა აივ, B და C ჰეპატიტები. ნარკოტიკების ინექციურად მომხმარებლებს დამოკიდებულების განვითარების უფრო მაღალი რისკი აქვთ და მეტად სავარაუდოა, რომ განუვითარდეთ მძიმე დამოკიდებულება, ვიდრე მათ, ვინც ინექციას არ იყენებს.

თქვენმა ექიმმა ან ჯანდაცვის მუშაკმა შეიძლება უკვე გადმოგცათ უკუკვშირის ბარათი და საანფორმაციო ლიფლეტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია თქვენ მიერ მოხმარებულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ჯანმრთელობის პრობლემებზე.

## 4 დავინაოთ

ალბათ უკვე დარწმუნდით, რომ ნივთიერების მოხმარება პრობლემებს გიჩენთ.

ან გსურთ შეამოწმოთ, მართლა ძალიან ბევრს მოიხმართ თუ არა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ბროშურა დაგეხმარებათ, დაინახოთ, რა მდგომარეობაში ხართ ახლა და როგორ შეგიძლიათ ცვლილებების მოხდენა.

ნივთიერების  
მოხმარების  
ეცევის შეცვლა  
შესაძლებელია,  
ეს პევრმა შეძლო.

ჩვენი ქცევების შეცვლა, მათ შორის, ნივთიერების მოხმარების ქცევის, შეიძლება საშიში ან ძნელი მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს შესაძლებელია.

## 5 დახმარების მიღება

ამბობენ,  
მსოფლიოს გარშემო  
მოგზაურობა ერთი  
ნაბიჯით იწყება.

არა უშავს,  
თუ გზადაგზა  
შეისვენებთ: გზის  
ბოლოს მაინც  
მიაღწევთ.

მნიშვნელოვანია  
მხოლოდ  
გადაწყვეტილება,  
რომ გსურთ  
რაღაც შეცვალოთ,  
და შემდეგ ამ  
ცვლილებისკენ სვლა

შეგიძლიათ, ეს გზამკვლევი დამოუკიდებლად გამოიყენოთ, ისე, რომ არავინ ჩარიოთ იმაში, რასაც აკეთებთ. მაგრამ, თუ მხარდამჭერი გეყოლებათ, შეიძლება ეს თქვენთვის უდიდესი დახმარება აღმოჩნდეს – ვინმე, ვისაც ესმის, რის გაკეთებას აპირებთ და დროს გამონახავს დასახმარებლად.

მხარდამჭერი უნდა იყოს პიროვნება, ვისაც თქვენ ენდობით და ვისთანაც თავს თავისუფლად გრძნობთ. ეს შეიძლება იყოს თქვენი პარტნიორი, მეგობარი, ნათესავი, რომელიმე თანამშრომელი, ექთანი, რელიგიური პირი, კონსულტანტი ან ექიმი. მნიშვნელოვანია, რომ თქვენს მხარდამჭერს თავად არ ჰქონდეს ნივთიერების მოხმარების პრობლემა იმ დროს, როცა ის შეეცდება თქვენ დახმარებას ანალოგიური პრობლემის მოსაგვარებლად.

თუ დახმარებას სთხოვთ ვინმეს და დაფიქრების შემდეგ ეს ადამიანი უარს გეტყვით, სჯობს, ამ თხოვნით სხვას მიმართოთ. ბევრს უხარია, როცა დახმარების თხოვნით მიმართავენ – ეს მათთვისაც მომგებიანია.

სანამ დაიწყებდეთ, თქვენს მხარდამჭერს ეს გზამკვლევი წააკითხეთ, განსაკუთრებით, დანართი „რჩევები დამხმა-  
რეებს“.

# 6 საჭიროა თუ არა, რამე ვიღონო ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებით?

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად უნდა ჩამოწეროთ ყველა ის პრობლემა, რომელიც, თქვენი აზრით, ბოლო სამი თვეს განმავლობაში ნივთიერების მოხმარებამ გამოიწვია.

დაფიქრდით, თუ რა ნივთიერებას (ნივთიერებებს) მოიხმართ და, თქვენი აზრით, რა პრობლემა შეიძლება ამან გამოიწვიოს. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ რომელიდაც ერთი ნივთიერება რამდენიმე პრობლემის მიზეზი ხდება, როგორიცაა ოჯახთან ან პარტნიორთან უთანხმოება, ჯანმრთელობის პრობლემები – ვთქვათ, ცუდად გძინავთ, სევდა, შფოთვა ან გაღიზიანება გიბყრობთ. ზოგი ამჩნევს, რომ მის მიერ ნივთიერებების მოხმარება გავლენას ახდენს დახსომების და ყურადღების კონცენტრაციის უნარზე, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს მუშაობაში ან სწავლაში.

**მაგალითი |** ჯონის სია: იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომლებსაც ის ნივთიერების მოხმარების გამო აწყდება

ნივთიერება	პრობლემა
1 კანაფი	გულმავიწყობა
2 კანაფი	ყურადღების კონცენტრაციის გაძნელება
3 კანაფი	პარტნიორი ბრაზობს, რადგან საშინაო საქმეში ვერ ვეხმარები
4 კანაფი	ტელევიზორის ყურების გარდა თითქმის არაფრის კეთება მაინტერესებს
5 კანაფი	
6 კანაფი	

## მაგალითი

ჯონი 33 წლის მამაკაცია, ცხოვრობს თავის პარტნიორთან და მცირენლოვან შვილთან ერთად. ექიმთან მივიდა, რადგან მუდმივად დალლილობას გრძნობს და ცოტა ხნის წინ ამას ძლიერი გაციებაც ზედ დაერთო. ზოგადი გამოკვლევის შემდეგ ექიმმა ჯონს რამდენიმე კითხვა დაუსვა ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკების მოხმარების შესახებ.

ჯონი კანაფს ერთი-ორჯერ ეწევა საღამობით, შაბათ-კვირას კი ოთხჯერ ან ხუთჯერ. ბოლო დროს შინ და სამსახურში რაღაც პრობლემები შენიშნა, რაც კანაფის მოწევით კიდევ უფრო ურთულდებოდა.

ექიმმა უთხრა, რომ კანაფის მოწევის გამო ჯანმრთელობის და სხვა სახის პრობლემების გაჩენის რისკის ქვეშ იყო და სთხოვა, დაფიქრებულიყო, კერძოდ რას ნარმალდებენდა ეს პრობლემები.

თუ ვინმეს (ოჯახის  
წევრს, ჯანდაცვის  
სპეციალისტს, სხვას)  
რამე უთქვამს თქვენ  
მიერ ნივთიერების  
მოხმარების  
გამო გაჩენილ  
პრობლემებზე,  
შესაძლოა, საჭირო  
იყოს, თქვენს  
„პრობლემების“ სიას  
მათი აღნიშნულიც  
დაემატოს.

იმის მიუხედავად,  
მოახერხეთ თუ არა  
რაიმე პრობლემის  
განსაზღვრა...

10

### არჩევანი თვეზეა.

თქვენ  
შეგიძლიათ,  
განაგრძოთ  
ძველეპურად  
ცხოვრება; ან  
შეგიძლიათ,  
შეამციროთ  
ან შეცყვითოთ  
ნივთიერების  
მოხმარება.

**მიგარინიათ თუ არა, რომ ნივთიერების მოხმარებამ  
გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ ბოლო 3 თვის  
განმავლობაში?**



აქ ჩამონარეთ ყველა პრობლემა, რომელიც თქვენ  
მიერ ნივთიერების მოხმარებას უკავშირდება

ნივთიერება	პრობლემა
1	
2	
3	
4	
5	
6	

ნივთიერების მოხმარებით შეიძლება პრობლემები გექმნე-  
ბოდეთ, თუ ის იწვევს **ინტოქსიკაციას**, თუ **რეგულარულად**  
მოიხმართ ან თუ **ინექციით** შეგყავთ. თუ თქვენ ნარკოტიკს  
ინექციურად ან რეგულარულად მოიხმართ, შეიძლება  
დამოკიდებულება გაგივითარდეთ.

# 7 როგორია ნივთიერების მოხმარების თქვენი ბალანსი?

აქ მოცემულია ნივთიერების მოხმარების ბალანსის ცხრილი, რომელიც დაგეხმარებათ, ანონ-დაწონოთ თქვენი გადაწყვეტილება. რა შედეგებს მიიღებთ, თუ გააგრძელებთ ძველებურად ცხოვრებას, ან თუ შეამცირებთ ან შეწყვეტთ ნივთიერების მოხმარებას? თუ თქვენ რეგულარულად მოიხმართ ერთ ნივთიერებაზე მეტს, მაშინ შეიძლება გერჩივნოთ, თითოეული ნივთიერებისთვის ცალ-ცალკე ცხრილი შეავსოთ.

**დაფიქრდით როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლე-  
ვადიან დადებით და უარყოფით შედეგებზე.**

მაგალითი | ბალანსის ცხრილი 1. ჯონის შევსებული ბალანსის ცხრილი ასე გამოიყურებოდა

	ნივთიერების მოხმარების ჩემი ახლანდელი პატერნის <sup>1</sup> შენარჩუნება	ნივთიერების მოხმარების შემცირება ან შეწყვეტა
+	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] მეხმარება, განვიტვირთო სამსახურის მერე</li> <li>[x] ვეშვები და დღის პრობლები მავიწყდება</li> <li>უკეთ ვერთობი წვეულებებზე და მეგობრებთან შეხვედრისას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] ასე დაღლილი აღარ ვიქები ხოლმე</li> <li>[x] უკეთ მემახსოვრება ყველაფერი</li> <li>[x] ჩემი ურთიერთობა პარტნიორთან გაუმჯობესდება და ის აღარ იქნება ჩემზე გაბრაზებული</li> <li>[x] სამსახურში უფრო ყურადღებით ვიქები</li> <li>[x] სამსახურს ასე ხშირად აღარ გავაკდე</li> </ul>
-	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] მოქმედებს ჩემს მეხსიერებაზე</li> <li>[x] მოქმედებს ყურადღების მოკრეფის უნარზე</li> <li>[x] ღამის დროსტარების მერე გაბრუებული და დაღლილი ვარ</li> <li>[x] ღამის დროსტარების მერე ზოგჯერ სამსახურს ვაცდენ</li> <li>[x] ჩემს პარტნიორს ეს არ მოსწონს და ამაზე შევლაპარაკდებით ხოლმე</li> <li>[x] ბევრ დროს ვხარჯავ ნარკოტიკის სამოვნელად მომზოდებლებთან დაკავშირებაში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] გამიძნელდება სამსახურის მერე განტვირთვა</li> <li>[x] წვეულებებზე ისე ვეღარ ვიმსიარულებ ხოლმე</li> </ul>

1. პატერნი - მოხმარების გზა, ხერხი, ფორმა (რედ.).



რა თაღა უნდა,  
რასაც კი  
გააკათებთ,  
ყველაფერს ეძნება  
თავისი დადებითი  
შედეგები  
(სარგებელი)  
და უარყოფითი  
შედეგები  
(საფასური).

ბალანსის ცხრილი 1		
ნივთიერების მოხმარების ჩემი ახლანდელი პატერნის შენარჩუნება		ნივთიერების მოხმარების შემცირება ან შეწყვეტა
+		
-		

შევსების შემდეგ ისევ გადაავლეთ ცხრილს თვალი და თქვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი შედეგები მონიშნეთ **[x]**-ით.

# 8 განუხებთ თუ არა ნივთიერებას რომ მოიხმართ?

**მაგალითი |** ჯონს ჰქონდა: „რამდენად განუხებთ, ნივთიერებას რომ მოიხმართ?“ და სთხოვეს, მოენიშნა ეს 10-ბალიან სკალაზე, სადაც 0 შეესაბამება „საერთოდ არ მანუხებს“ და 10 შეესაბამება „უკიდურესად მანუხებს“ მდგომარეობას.

0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	----

საერთოდ არ მანუხებს                          უკიდურესად მანუხებს

ჯონმა შემოხაზა ციფრი 6, რადგან მას ანუხებდა დაღლილობის შეგრძება და გულმავიწყობა, თანაც სურდა პარტნიორთან ურთიერთობის გაუმჯობესება. იმავდროულად, გრძნობდა, რომ ძალიან სიამოვნებდა მოწევა და დაენანებოდა თავის დანებება.



13




0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	----

საერთოდ არ მანუხებს                          უკიდურესად მანუხებს

## მაგალითი | ნივთიერებები

ჯონმა გადაწყვიტა, რომ ყველაზე მეტად კანაფის მოხმარება ანუხებდა. სხვა ნივთიერებები არ აღელვებდა, რადგან მათ არ მოიხმარდა რეგულარულად ან გადაჭარბებით.



მიმდევრობით დაალაგეთ ნივთიერებები, რომელთა მოხმარებაც განუხებთ - ყველაზე მეტად შემაწუხებლიდან უფრო ნაკლებისკენ.

1

2

3

4

5

6

# 9 თქვენ მიერ მოხმარებული ნივთიერების რაოდენობის გაზომვა

თქვენ შეგიძლიათ დაადგინოთ, თუ რა რაოდენობის ნივთიერებას მოიხმართ. ამისთვის გამოიყენეთ „ნივთიერების მოხმარების დღიური“, რომელშიც ბოლო კვირის განმავლობაში თქვენ მიერ მოხმარების მონაცემებს შეიტანთ.

**მაგალითი | ნივთიერების მოხმარების დღიური. ექიმთან ვიზიტის წინა კვირაში ჯონის დღიური ასე გამოიყურებოდა:**

როდის? სად? ვისთან ერთად?	რა?	რამდენი?	დახარჯული თანხა
შაბათ საღამოს პეტერთან წვეულებაზე	კანაფი	6 მონევა	\$15 (ერთი ტომსიკა)
კვირას ბალში წავიმუშავე და პარკში ფეხბურთი ვითამაშე	არაფერი	0	0
ორშაბათ საღამოს სამსახურის მერე დაღლილი ვიყავი და ტელევიზორის წინ ცოტა დავისვენე	კანაფი	2 მონევა	არაფერი – დარჩენილი მქონდა
სამშაბათს სამსახურის მერე გიტარის დაკვრის გაკვეთილზე წავედი, შინ გვიან დავბრუნდი	არაფერი	0	0
ოთხშაბათ საღამოს სახლში ტელევიზორში ფეხბურთს ვუყურე	კანაფი	4 მონევა	\$10 (ერთი ტომსიკა)
ხუთშაბათ საღამოს სახლში ტელევიზორს ვუყურე	კანაფი	4 მონევა	არაფერი – დარჩენილი მქონდა
პარასკევ საღამოს დევიდი და პეტერი მოვიდნენ და ვიდეოს ვუყურეთ	კანაფი	5 მონევა	\$15 (ერთი ტომსიკა)
როცა ჯონმა კვირის მონაცემებს გადახედა, გაოცებული დარჩა: მთლიანობაში 21 მონევა და ამაში გადახდილი \$40			

დაიწყეთ  
გუშინდელი  
დღიდან და  
გააგრძელეთ  
უკან, გასული  
კვირის ყოველი  
დღისთვის.

ჩაიწერეთ:

თქვენ მიერ  
ნივთიერების  
მოხმარების დრო  
და ადგილი;



ვისთან ერთად  
იყავით;

რას მოიხმარდით;

რამდენი  
მოიხმარეთ;

რა თანხა  
დახარჯეთ.





შეავსეთ ეს „ნივთიერების მოხმარების დღიური“  
ბოლო კვირის განმავლობაში თქვენი მოხმარების  
მონაცემებით

როდის? სად? ვისთან ერთად?	რა?	რამდენი?	დახარჯული თანხა

# 10 რამდენია „ზეღმეტად ბევრი“?

თუ ალკოჰოლურ სასმელებს მოიხმართ, თქვენ ჯანმრთელობის თუ სხვა პრობლემების რისკები გიჩნდებათ, განსაკუთრებით, თუ:

- დღეში 2 სტანდარტულ ულუფაზე\* მეტს სვამთ;
- კვირაში სულ ცოტა, ორი დღე მაინც არ არის ისეთი, როცა საერთოდ არ სვამთ.

არ არსებობს ალკოჰოლური სასმელის მოხმარების ისეთი დონე, რომელიც რისკს საერთოდ არ შეიცავს, და ბევრი ადამიანისთვის დღეში 2 სტანდარტული ულუფის მოხმარება შეიძლება მაინც მნიშვნელოვან რისკთან იყოს დაკავშირებული.

## არსებობს კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ზრდიდეს თქვენს რისკს, მაგალითად:

- თქვენი ოჯახის ისტორიაში ალკოჰოლზე დამოკიდებულების შემთხვევები არსებობს;
- იღებთ გარკვეულ წამლებს ან გაქვთ ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემა;
- თქვენი სქესის და ასაკის სხვა ადამიანებთან შედარებით ნაკლებს იწონით;
- კარგა ხანია, არაფერი გიჭამიათ.

## საერთოდ არ უნდა სვამდეთ ალკოჰოლს, თუ თქვენ:

- ფეხმიმედ ხართ ან ძუძუთი კვებავთ ჩვიოლს;
- მართავთ ავტომანქანას, მუშაობთ მექანიზმებთან ან სხვა სარისკო საქმიანობას ეწევით;
- გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებსაც ალკოჰოლი კიდევ უფრო დაამძიმებს;
- იღებთ წამალს, რომელიც უშუალოდ ურთიერთქმედებს ალკოჰოლთან;
- ვერ აკონტროლებთ ალკოჰოლის მოხმარებას.

თუ ამ ფაქტებიდან რომელიმეში ზუსტად დარწმუნებული არ ხართ, დაეკითხეთ თქვენს ჯანდაცვის მუშაკს.

### \* სტანდარტული ულუფა არის:

- 1 ქილა ჩვეულებრივი ლუდი (330 მლ, 4%-იანი);
- 1 სირჩა მაგარი სპირტიანი სასმელი (30 მლ, 40%-იანი);
- 1 ჭიქა ღვინო ან პატარა ჭიქა შერი (100 მლ 12%-იანი ან 70 მლ 18%-იანი);
- 1 პატარა ჭიქა ლიქიორი ან აპერიტივი (50 მლ, 25%-იანი).

არ არსებობს  
ალკოჰოლის,  
ნარკოტიკების  
და თამბეჭვის  
პროდუქტის  
მოხმარების ისეთი  
დონე, რომელიც  
რისკს საერთოდ არ  
შეიცავს.

მონევა თამბაქოს  
მოხმარების ყველაზე  
უფრო საზიანო  
მეთოდია.

თამბაქოს მოხმარების  
არა-მოსაწევი  
მეთოდებიც,  
როგორიცაა დაღეჭვა,  
ბურნუთი (რომელიც  
შეისუნთქება), და  
„სნუსი“ (თავსდება  
ღრძილს და ტუჩს  
შორის და შეინოვება)  
აგრეთვე რისკის  
შემცველია.

# 11 გადაწყვეტილების მიღება

როგორია  
გაღანსი:  
არსებობს  
მიზანები,  
რატომაც უნდა  
შეიცვალოთ  
ეცვა?

ახლა თავიდან გადახედეთ თქვენ მიერ შედგენილ ბალანსის ცხრილს, ნივთიერების მოხმარების დღიურს და ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებულ თქვენი პრობლემების ჩამონათვალს.

## არსებობს მიზეზები, რომ შეიცვალოთ?

**მაგალითი |** ჯონმა გადაწყვიტა, რომ ჰქონდა მიზეზები ცვლილების მოსახდენად, ამიტომ შესაბამისი პასუხი მონიშნა.

[x] დიახ – გადადით მე-12 თავზე

არა – შეიძლება, ამჟამად არ გსურდეთ ამ ბროშურის დახმარებით მუშაობა

ზუსტად არ ვიცი – ჩამოწერეთ ამის მიზეზები ქვემოთ მოცემულ ცხრილში და დაფიქრდით, იქნებ ლირდეს მათ შესახებ თქვენს მხარდამჭერთან მსჯელობა.

## მონიშნეთ ქვემოთ თვენი გადაწყვეტილება

- დიახ — გადადით მე-12 თავზე
- არა — შეიძლება, ამჟამად არ გსურდეთ ამ ბროშურს დახმარებით მუშაობა
- ზუსტად არ ვიცი — ჩამოწერეთ მიზეზები ქვემოთ მოცემულ ცხრილში და დაფიქრდით, იქნებ ლირდეს მათ შესახებ თქვენს მხარდამჭერთან მსჯელობა.



მიზეზები, თუ რატომ უნდა შეცვალო ჩემ მიერ ნივთიერების მოხმარების ქცევა

1

2

3

4

5

6

# 12 მიზნის არჩევა

ახლა, რაკი უკვე გადაწყვიტეთ თქვენ მიერ ნივთიერების მოხმარებაში ცვლილებების მოხდენა, შემდეგ ნაბიჯად უნდა გადაწყვიტოთ, ნაკლებს მოიხმართ თუ საერთოდ შეწყვეტთ მოხმარებას.

**გადაწყვეტილების მიღებაში დასახმარებლად,  
შეასრულეთ შემდეგი სამი დავალება:**

## 1 დაფიქრდით ამ კითხვებზე

- გაქვთ თუ არა რამე სახის ჯანმრთელობის ან ფსიქოლოგიური პრობლემა, რაც შეიძლება ნივთიერების მოხმარებით გაიუარესოთ? თქვენი ექიმი ან ჯანდაცვის სხვა სპეციალისტი შეიძლება რჩევით დაგეხმაროთ.
- გაქვთ აღკვეთის სიმპტომები, როცა მოხმარებას წყვეტთ? თუკი ასეა, მოხმარებაზე სრულად უარის თქმა შეიძლება თქვენთვის ყველაზე შესაფერისი მიზანი იყოს. თქვენი ექიმი ან ჯანდაცვის სხვა სპეციალისტი შეიძლება დაგეხმაროთ აღკვეთის სიმპტომებთან გამკლავებაში. იხილეთ აგრეთვე თავი 17 – „მიზნების დასახვა: როგორ დაგანებოთ თავი?“
- გაქვთ სამართლებრივი, ფინანსური ან სამსახურებრივი პრობლემები ნივთიერების მოხმარების გამო?
- გაქვთ პირადი ურთიერთობის ან ოჯახური პრობლემები ნივთიერების მოხმარების გამო?
- ადრე თუ გადაგიწყვეტიათ ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები მოხმარების სრულად შეწყვეტით? თუ ასეა, ახლაც შეიძლება ეს თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი იყოს.



შევამცირო  
თუ შევცვალო  
ნივთიერების  
მოხმარება?

გახსოვდეთ,  
ახლა მიღებული  
გადაწყვეტილება  
შეიძლება არ  
იყოს სამუდამო.  
თქვენ შეგიძლიათ,  
ნივთიერების  
მოხმარებასთან  
დაკავშირებული  
მიზანი დროდადრო  
ისევ გადასინჯოთ  
ხოლმე. ნებისმიერი  
მიზნის დასახვისას,  
კარგი იქნება,  
თუ ამაზე თქვენს  
უახლოეს ადამიანს  
დაელაპარაკებით.

- 2** შეავსეთ ქვემოთ მოცემული ბალანსის ცხრილი, სადაც შეგიძლიათ ჩანაცემი მოხმარების შემცირების ან თავის დაწესების დადებითი და უარყოფითი მხარეები

**მაგალით |** ბალანსის ცხრილი 2. ჯონმა შეავსო ბალანსის ცხრილი და კანაფის მოხმარების შემცირება გადაწყვიტა.

	შემცირება	სრულად შენცვეტა
+	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] შემცირება, ზოგჯერ მაინც მოვიხმარო კანაფი მეგობრებთან ყოფილისას</li> <li>[x] წვეულებებზე მაინც კარგად გავერთობი ხოლმე</li> <li>[x] ნაკლებად მოხმარება ნიშნავს, რომ ასე დაღლილი და გულმავინტყო აღარ ვიქნები</li> <li>[x] თუ მხოლოდ შაბათ-კვირას მოვიხმარ, სამსახურს აღარ გავაცდენ ხოლმე</li> <li>[x] ჩემს პარტნიორს გაუხარდება და ნაკლებად ვიჩხუბებთ ხოლმე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] არ ვიქნები დაღლილი და გულმავინტყო</li> <li>[x] არ გავაცდენ სამსახურს</li> <li>[x] ჩემი პარტნიორი გახარებული იქნება</li> <li>[x] ფულს დავზოგავ, რაკი ნარკოტიკებს აღარ შევიძენ</li> </ul>
-	ყოველდღე ვერ შევძლებ სამსახურის მერე რამდენიმე მოწევით განტვირთვას	<ul style="list-style-type: none"> <li>[x] ძალიან მომზნატრება მეგობრებთან ერთად მხიარულად გატარებული დრო</li> <li>[x] ძალიან დამაკლდება სამსახურის მერე განტვირთვა რმძლენჯერმე მოწევით მეგობრები დამცირებენ</li> <li>[x] წვეულებებზე ისე ვეღარ ვიმხიარულებ ხოლმე</li> </ul>

20

შევსებას რომ დაასრულებთ, თქვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი შედეგები მონიშნეთ **(x)**-ით.



ბალანსის ცხრილი 2		
	შემცირება	სრულად შენცვეტა
+		
-		

- 3** მიზნის არჩევა. იმის მიხედვით, რაც ჩამონერეთ, თქვენი აზრით, რა იქნებოდა თქვენთვის საუკეთესო მიზანი?



ბალანსის ცხრილი 2		
	შეამციროთ ნივთიერების მოხმარება — გადადით მე-18 თავზე;	სრულად შენცვიტოთ ნივთიერების მოხმარება — გადადით მე-17 თავზე.
		}

მაგრამ მანამდე წაიკითხეთ თავები მე-13-დან მე-16 ჩათვლით

# 13 მოხმარების პატერნის შეცვლა

თუ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ მოხმარების შემცირება, შეიძლება, საჭირო იყოს დაფიქრდეთ ხერხზე, რომლითაც ნივთიერებას მოიხმართ, და ნაკლებად საზიანო ალტერნატივები შეარჩიოთ.

მაგალითად, შეიძლება, ღირდეს, დაფიქრდეთ ინექციურად მოხმარების შეწყვეტაზე ან ინექციის ჩანაცვლებაზე ნივთიერების მოხმარების ნაკლებად სარისკო საშუალებით.

თუ ნარკოტიკს ინექციურად იღებთ, თქვენ ამით ზრდით როგორც ნარკოტიკით გამოწვეული ზიანის, ასევე, ინექციით გამოწვეული ზიანის რისკს.

ამფეტამინების ან კოკაინის ინექციით შეყვანა ზრდის ფსიქოზების და დამოკიდებულების გაჩენის რისკს.

ჰეროინის და სხვა დეპრესანტების ინექციით შეყვანა ზრდის დამოკიდებულების გაჩენის და ზედოზირების რისკს.



ასევე, უმჯობესია, არ მიმართოთ ინექციურ მოხმარებას სისხლით გადამდები ვირუსების (ჰეპატიტი B და C, აივ/შიდსი) და სხვა ინფექციების რისკის გამო. თუ მაინც ინექციას გამოიყენებთ, კარგი იქნება დაფიქრდეთ ზოგი რამის შეცვლაზე, რაც ინექციის რისკებს შეამცირებდა. მაგალითად, სუფთა საინექციო ალტურვილობის გამოყენებაზე (მაგ., ნემსები და შპრიცები, კოვზები, ფილტრები და სხვა).

ნარკოტიკების მოხმარება ყოველთვის სარისკოა, თუმცა, არსებობს რისკების შემცირების გზები, თუ თქვენ მოხმარების გაგრძელებას გადაწყვეტთ.

შეამცირეთ  
რისკები:

- ნუ მართავთ ავტომანქანას ან ნუ ეწევით სახიფათო საქმიანობას ნარკოტიკების მიღებისას.
- თუ ნარკოტიკებს მოიხმართ, მიიღეთ უფრო მცირე დოზები და უფრო იშვიათად, რათა თავიდან აირიდოთ დამოკიდებულების გაჩენა.
- ნუ მოიხმართ ყოველდღიურად.
- ნუ მოიხმართ ნარკოტიკებს ისეთ სიტუაციაში, სადაც საჭიროების შემთხვევაში დახმარებას ვერ მიიღებთ.
- ნუ მიიღებთ სხვადასხვა ნივთიერებას მოხმარების ერთ რომელიმე დღეს.
- ნუ მოიხმართ ნარკოტიკებს ფეხმძიმობის ან ძუძუთი კვების პერიოდში, რადგან ამან შეიძლება იმოქმედოს თქვენს ბავშვზე.

# 14 კონტრაქტი საკუთარ თავთან

მიზნების  
დასახვის ტექნიკა  
დაგეხმარებათ  
მიზნების  
მიღწევაში.

მიზნები  
უნდა იყოს  
გონივრული  
(SMART):

კონკრეტული  
(SPECIFIC)

გაზომვადი  
(MEASURABLE)

მიღწევადი  
(ATTAINABLE)

რეალისტური  
(REALISTIC)

დროში  
გაფორმილი  
(TIME BOUND)

22



ახლა, როდესაც მიღებული გაქვთ გადაწყვეტილება ნივთი-ერების მოხმარებასთან დაკავშირებით და იცით, რა გინდათ ამ მხრივ გააკეთოთ, თქვენ შეგიძლიათ, კონტრაქტი დაუდოთ საკუთარ თავს (იხ. ქვემოთ მოცემული მაგალითი). ეს და-გეხმარებათ, გაიხსენოთ, ზუსტად რის გაკეთება გადაწყვიტეთ.

## მაგალითი | კონტრაქტი საკუთარ თავთან

### მაგალითი A

რას გავაკეთებ: შევწყვეტ (ნივთიერების) მოხმარებას ამ დღეს: ..../..../....

### მაგალითი B

რას გავაკეთებ: შევამცირებ (ნივთიერების) მოხმარებას ორ კვირაში ერთხელ მოხმარებამდე, ამ დღიდან: ..../..../....

რას გავაკეთებ: ასე მოვიქცევი სამი თვის განმავლობაში ამ დღემდე: ..../..../...., შემდეგ კი განვიხილავ, რას მივაღწიე.



## კონტრაქტი საკუთარ თავთან

რას გავაკეთებ:

რას გავაკეთებ:

რას გავაკეთებ:

რას გავაკეთებ:

რას გავაკეთებ:

რას გავაკეთებ:

# 15 ნინსვლა

იმისათვის, რომ შეძლოთ მიზნად დასახული ცვლილების მიღწევა, შეგიძლიათ, პროცესს თვალი მიადევნოთ ნივთიერების მოხმარების ყოველყვირეული დღიურების წარმოებით (როგორც მე-9 თავშია).

**გამოიყენეთ ყოველკვირეული დღიურების ნიმუში, რომლებიც ამ გზამკვლევის ბოლოშია დართული, და მისდიეთ შემდეგ ინსტრუქციებს:**

- აწარმოეთ ჩანაწერები ყოველდღიურად
- აღნიშნეთ, რამდენჯერაც მოიხმართ ნივთიერებას ან როცა მოხმარების ხასიათზე ხართ (დღიურში არის დამატებითი სკეტი, სათაურით „მინდოდა, მაგრამ არ მოვიხმარე“, რათა ასეთი შემთხვევები აღნიშნოთ).
- აწარმოეთ დღიური 3 თვის განმავლობაში. ეს დაგეხმარებათ, შეამჩნიოთ ცვლილებები. მერე შეგეძლებათ „შერჩევითი შემოწმება“ ჩაიტაროთ ხოლმე და ამისთვის აწარმოოთ ერთორკვირიანი დღიური ყოველ რამდენიმე თვეში ერთხელ.
- შეაჯამეთ ნივთიერების მოხმარებაზე დახარჯული ფული.
- თუ სურვილი გექნებათ, დღიური თქვენს მხარდამჭერთან ერთად განიხილეთ.
- [x]-ით მონიშნეთ „მაღალი რისკის მომენტები“ – როცა იმაზე მეტი მოიხმარეთ, ვიდრე აპირებდით, ან მოხმარების ძლიერი სურვილი გქონდათ.
- წაიკითხეთ, რაც დაწერეთ, და კვირაში რამდენჯერმე დაფიქრდით ამაზე.

დღიური ზუსტად გიჩვენებთ, რა ხდება და როდის და სად ჩნდება ცვლილება.

დღიური აგრეთვე გიადვილებთ, გამოარჩიოთ თქვენთვის „მაღალი რისკის“ შემცველი სიტუაციები – ის მომენტები, როცა მოიხმართ ნივთიერებას, ან გადაჭარბებით მოიხმართ, ან ძალიან გინდებათ მოხმარება.

სიტუაციები, რომლებსაც მოხმარების ხასიათზე მოჰყავხართ, შეიძლება ჩნდებოდეს მაშინ, როცა ხართ კონკრეტულ ადამიანებთან ან რაღაც კონკრეტულ ადგილას. ან ჩნდებოდეს იმის მიხედვით, თუ როგორ გრძნობთ თავს: გაბრაზებული ან აღელვებული ხართ, თუ მხიარული და მშვიდი.

„ნივთიერების  
მოხმარების  
დღიურის“  
წარმოება:

თქვენს დღიურში  
შეტანილი  
ინფორმაცია პირადი  
ხასიათისაა, იზრუნეთ,  
რომ ის საიმედოდ  
იყოს შენახული.

დღიური  
თქვენთვის  
ცვლილების  
გასაღვილების  
მიღვცელოვანი  
ელემენტია.

# 16 მაღალი რისკის შემცველი სიტუაციები

რა სიტუაციები  
თქვენთვის  
მაღალი რისკის  
შემცველი?

რა სიტუაციები,  
გარემოებები,  
ადგილები ან  
გრძნობები გიჩენთ  
ნივთიერების  
მოხმარების  
სურვილს?

თუ არსებობს  
კონკრეტული  
სიტუაციები,  
როდესაც  
მოხმართ  
ნარკოტიკა, ან  
მოხმართ იმაზე  
მეტს, ვიდრე  
აპირებდით, ან  
მოხმართ იმის  
მიუხედავად, რომ  
არ აპირებდით?


თუ შეძლებთ განსაზღვროთ თქვენთვის სარისკო სიტუაციები, სადაც მოხმარეთ ნარკოტიკები, ან მოხმარეთ განსაზღვრულზე მეტი, ან მოხმარების დაუღვებელი სურვილი გაგიჩნდათ, ეს დაგეხმარებათ საკუთარი თავისთვის შეიმუშაოთ პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებთ:

- კონკრეტული ადგილები, სადაც მოხმარება იოლად ხელმისაწვდომია, მაგ., შინ, მეგობრის სახლში, კლუბში, და ა.შ.
- კონკრეტული ადამიანების გვერდით ყოფნა, მაგ. პარტნიორთან, რომელიმე მეგობართან, და ა.შ.
